

რა ფაქტორები ახდენს გავლენას ეროვნული უმცირესობის
წარმომადგენელი სტუდენტების ჩართულობაზე აკადემიურ სფეროში -
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევა

თეონა ჟუჟუნაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო გორგოძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა ჟუჟუნაძე

05.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აკადემიურ სფეროში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების ჩართულობაზე გავლენის მქონე ფაქტორების კვლევის ანგარიშს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. ეთნიკურად სომეხი ეროვნების მოსახლეობა წარმოადგენს საქართველოში მაცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ერთ-ერთ დიდ ჯგუფს. ისინი, ძირითადად, განთავსებულნი არიან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტები უმაღლესი განათლების მისაღებად ირჩევენ რეგიონში არსებულ ერთადერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ძირითადად, ამ ფაქტმა განაპირობა აღნიშნული უნივერსიტეტის არჩევა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განყოფილებები მდებარეობს ორ ქალაქში - ახალციხესა და ახალქალაქში. შესაბამისად, მდგომარეობა შესწავლილ იქნა ორივე ქალაქში.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გზით. ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული სფეროს, ასევე ეთნიკურად სომეხი ეროვნების სტუდენტების წარმომადგენლებთან.

კვლევამ გამოავლინა, რომ ძირითადი ფაქტორი, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ეთნიკურად სომეხი ეროვნების სტუდენტების ჩართულობაზე აკადემიურ სფეროში არის ეკონომიკური ხასიათის. სტუდენტები ირჩევენ უნივერსიტეტსა და პროფესიას ფინანსური სარგებლიანობიდან გამომდინარე; აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესში და სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში შინაგანი მოტივაციიდან გამომდინარე, რომელიც, ასევე, დაკავშირებულია დასაქმების შანსების ზრდით; მათი სამომავლო გეგმები დაკავშირებულია, ძირითადად, დასაქმებასთან.

ყველაზე დიდი ბარიერები, რომელიც გამოავლინა კვლევამ არის განსხვავება ახალციხესა და ახალქალაქს შორის სოციალური გარემოს მიხედვით და სტუდენტთა თვით-შეფასება. ახალქალაქში არის, ძირითადად, სომხურენოვან გარემო, რაც სტუდენტებს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლებ შესაძლებლობას აძლევს და, შესაბამისად, მათ აღქმაზეც ახდებს გავლენას. ეთნიკურად სომეხი ეროვნების სტუდენტების თვით-შეფასება, რაც ენის სათანადოდ არცოდნის გამო არის დაბალი, გავლენას ახდენს სტუდენტთა ჩართულობაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები, ჩართულობა აკადემიურ სფეროში, ფაქტორები, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Abstract

This paper presents study report about the factors influencing on the ethnic minority students' engagement in the academic field - case of Samtskhe-Javakheti State University. Armenian ethnic minority population is one of the biggest groups of the ethnic minority population residing in Georgia. They mainly reside in Samtskhe-Javakheti Region and students from this minority group choose to get higher education in Samtskhe-Javakheti State University which is the only one higher educational institution in the region. The campuses of Samtskhe-Javakheti State University situate in two towns, in Akhaltsikhe and Akhalkalaki. Accordingly, the study covered both towns.

The study used qualitative method for data collection. Interviews and focus groups were conducted both with the representatives of academic and administrative staff of Samtskhe-Javakheti State University and students with Armenian ethnic minority background.

The study revealed that the main factor influencing the engagement of Armenian ethnic minority students in academic field is of economic nature. The students choose the university and the profession according to the financial benefit; the reason of their active participation in study process and in different learning activities is the internal motivation which is caused again by the desire to enhance the chances of employment; their future plans, also, mainly associate with the employment.

The biggest barrier which the study revealed is the difference in social environment of the two towns – Akhaltsikhe and Akhalkalaki. The environment in Akhalkalaki is mainly Armenian which gives less possibility to students to integrate in Georgian society which affects their perception of higher education. The other barrier is related to the self-esteem of the students of ethnic minority caused by the lower level of Georgian language knowledge which also affects the students' engagement.

Key Words: Ethnic minority students, engagement in the academic field, factors, Samtskhe-Javakheti State University